

აჭარის განათლების ფონდი ბათუმის მასწავლებლის სახლი



აჭარის პედაგოგთა V რეგიონული
კონფერენცია - 2018 წ.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
პროგრამის
ანგარიში



განვლილი 2018 წელი და ახალი
გამოწვევები ბათუმის მასწავლებლის
სახლში



ფონდის დაარსება - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივა - 2011 წ.

აჭარის განათლების ფონდის საქმიანობის ძირითადი მიზნები:

- ▶ მოსახლეობისათვის უცხო ენების სწავლება
- ▶ კულტურულ - საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება
- ▶ განათლების პოპულარიზაცია და სხვა ისეთი პროექტების განხორციელება, რომელთა მიზანია საზოგადოების სოციალური მხარდაჭერა



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინიციატივა - 2013 წ.

- აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდის ურთიერთშეთანხმების მეშვეობით საფუძველზე **აჭარის განათლების ფონდის** ბაზაზე გაიხსნა **ბათუმის მასწავლებლის სახლი.**

2013 წლის 20 აგვისტო, ურთიერთთანამშრომლობის 1-ლი მემორანდუმი



აჭარის განათლების ფონდის ორი პრიორიტეტული მიმართულება

- უცხო ენებისა და კომპიუტერის შემსწავლელი უფასო კურსების პროგრამა
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამა

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამის მიზნები:

- სკოლაში სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა
- მოქმედი მასწავლებლების პროფესიული განვითარება
- კვალიფიციური კადრების მომზადებისა და პროფესიაში შენარჩუნების ხელშეწყობა.

აქტივობები:



- აჭარის განათლების ფონდი სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრთან დადებული ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის საფუძველზე ატარებს ტრენინგებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა საგანსა, ინკლუზიურ განათლებასა და პროფესიულ უნარებში; ტარდება პროფესიული განვითარების ტრენინგები სკოლის ადმინისტრაციისა და სკოლის პერსონალისათვის.
- ტრენინგები ტარდება როგორც ბათუმში, ასევე აჭარის მუნიციპალიტეტში.
- ჯგუფების დაკომპლექტება ხდება on-line ან პედაგოგების მიერ ადრე შემოტანილი განაცხადების საფუძველზე.
- ტრენინგების გარდა ტარდება: ვორქშოპები, სახელმძღვანელოების პრეზენტაციები, კონფერენციები, რომლებშიც პედაგოგები აქტიურად არიან ჩართულები.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებულ საჯარო და კერძო სკოლებში 7000-ზე მეტი მასწავლებელია დასაქმებული. აჭარის განათლების ფონდი თითოეულ მათგანს მოემსახურება. უკვე აქ ერთდროულად 200-მდე პედაგოგის გადამზადებაა შესაძლებელი.

ტრენერთა შესარჩევი კონკურსი



- 2013 წლის 21 აგვისტოს გამოცხადდა ა. (ა) ი. პ. აჭარის განათლების ფონდის ბათუმის მასწავლებლის სახლის ტრენერთა შესარჩევი კონკურსი და 20 აგვისტოს #35 ბრძანებით - ტრენერების შერჩევის მიზნით შეიქმნა კომისია.
- კონკურსი ჩატარდა სამ ეტაპად:
 - განაცხადების საფუძველზე შერჩევა
 - ინდივიდუალური გასაუბრება
 - ტრენერთა ტრენინგი და ინდივიდუალური დავალება ტრენერთა ტრენინგის დასრულებისას.
- ტრენერობის მსურველი კანდიდატებიდან კონკურსში მონაწილეობის შესახებ განაცხადი გააკეთა **294-მა** აპლიკანტმა.
- საბოლოოდ, სამივე ეტაპი წარმატებით გადალახა **72** კონკურსანტმა.

ტრენერთა I კონკურსი

- ისტორია
- ფიზიკა
- ქიმია
- ქართული ენა და ლიტერატურა
- მათემატიკა
- ზოგადი პროფესიული უნარები
- ბიოლოგია
- ინგლისური ენა
- რუსული ენა
- გეოგრაფია
- სამოქალაქო განათლება
- ინკლუზია

- განათლების დაწყებითი საფეხური
- ბუნებისმეტყველება (1-6),
- ხელოვნება
- სპორტი
- მუსიკა
- გერმანული ენა
- ფრანგული ენა (TOT ველარ ჩატარდა მასწ მცირე კონტინგენტის გამო)

- ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიები

კონკურსი შეჩერდა, რადგანაც ძალიან დიდ ფინანსურ რესურსს მოითხოვდა. და კონკურსანტთა საბუთები გადაიგზავნა თბილისში.

2015 წლის 13 ნოემბერი, ურთიერთთანამშრომლობის მე-2 მემორანდუმი



ტრენერთა II კონკურსი



- სკოლის დირექტორებისა და დირექტორების მოადგილეების პროფესიული განვითარება.

შენიშვნა:

დირექტორებისა და მოადგილეების მიმართულებაში ჩატარდა TOT-ის სამი მოდული. შემდგომ კონკურსი შეჩერდა თბილისის მასწავლებლის სახლში მიმდინარე რეორგანიზაციასთან დაკავშირებით.

- ინკლუზიური განათლების ტრენინგ-მოდული სკოლის ადმინისტრაციისა და რესურს ცენტრებისთვის
- სკოლის პერსონალის (საქმისმწარმოებლის და ბიბლიოთეკართა) პროფესიული განვითარება

- სქემის დანერგვის ხელშეწყობის ტრენინგ-პროგრამა

დირექტორები:

- სკოლის შიდა შეფასების პროცესის მონიტორინგის დაგეგმვა და განხორციელება

შეფასების ჯგუფის წევრები:

- მასწავლებლის პროფესიული საქაღალდის შეფასება
- სამოდულო გაკვეთილების დაგეგმვა და შეფასება
- პედაგოგიური კვლევის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება
- საგაკვეთილო დაკვირვება
- კონსულტირება შიდა შეფასების ინსტრუმენტების გაცნობასთან დაკავშირებით




აჭარის განათლების ფონდი
AJARA EDUCATION FUND



მასწავლებლის
სახლი
TEACHERS HOUSE


I სართული



II სართული




II სართული




II სართული



www.aef.ge





უცხო ენებისა და კომპიუტერის
შემსწავლელი უფასო კურსების
პროგრამა

მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების პროგრამა

ინგლისური ენის პედაგოგთა
პროფესიული განვითარების
ხელშეწყობა

ბუნებრივი კატასტროფების რისკის
შემცირება

სკოლის პერსონალის პროფესიული
განვითარების პროგრამა

ინკლუზიური განათლების პროგრამა

თქვენი
educat
tr
კრედი
ოგრაფი

ლონისძიებები



ქობულეთის პედაგოგთა
კონფერენცია

06 დეკემბერი 2017

2017 წლის 5 დეკემბერს ქ.
ქობულეთის რესურსცენტრში
ჩატარდა პედაგოგთა მე-4
შინადაპირი კონფერენცია.



ხულოს სკოლების მეთაურების
ჯგუფებისათვის ტრენინგები
დასრულდა

05 დეკემბერი 2017

ბათუმის მასწავლებლის სახლი
ახორციელეს „მასწავლებლის
პროფესიული განვითარების
პროგრამის“ ტრენინგები.



ხელშეწყობილი
მასაშხ მუნიციპალიტეტის
კონფერენცია

22 ნოემბერი 2017

2017 წლის 22 ნოემბერს
ხელშეწყობილი მასაშხ
მუნიციპალიტეტის კონფერენცია
„მასწავლებლის პროფესიული
განვითარების პროგრამის“
ტრენინგების მიზნით ჩატარდა.

ონლაინ პლატფორმის ფორმა

„აჭარის განათლების ფონდი“, ბათუმის მასწავლებლის სახლი გთავაზობთ მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების პროგრამებს



მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ტრენინგების
რეგისტრაცია

აპლიკაციის ფორმა

მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების სხვა ფორმების
რეგისტრაცია

აპლიკაციის ფორმა

რეგისტრაციის წინაპირობა:

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამებზე მსმენელად ღარეგისტრირება შეუძლია
საქართველოს მოქალაქეს, რომელიც ასწავლის საჯარო/კერძო სკოლაში.

რეგისტრაცია წარმოებს როგორც ელექტრონულად ასევე განაცხადის სახით.

რეგისტრაციისათვის საჭირო პროგრამების ჩამონათვალი იხილეთ მთავარ მენიუში - „პროგრამები/
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამა“.

განაცხადით რეგისტრაციისთვის მიმართეთ ბათუმის მასწავლებლის სახლს.

ელექტრონული რეგისტრაციისათვის იხილეთ აპლიკაციები...

პარტნიორები და პროექტები

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი





TIKA - თურქეთის საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტო

- ა (ა) ი კ “განათლების ფონდის” შენობის რეაბილიტაცია (I, III-IV სართულები) განახორციელა თურქეთის საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტომ (TIKA).
- თურქეთის საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტოსთან (TIKA) ოფიციალურად მოეწერა ხელი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.
- აჭარის განათლებისა, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შუამდგომლობით TIKA – მ აჭარის განათლების ფონდს უსასყიდლოდ გადმოსცა სამი ინტერაქტიული დაფა (smart board).
- ორი დაფა დამონტაჟდა ბათუმის მასწავლებლის სახლის სატრენინგო აუდიტორიებში I-ელ სართულზე, ხოლო მესამე დაფა დამონტაჟდა ბიბლიოთეკაში.



TIKA - თურქეთის საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტო



BRITISH COUNCIL - საგანმანათლებლო შესაძლებლობებისა და კულტურულ ურთიერთობათა ხელშეწყობის ბრიტანული საერთაშორისო ორგანიზაცია



განვახორციელეთ ერთობლივი პროექტი:
“სასწავლო მეთოდოლოგიების გაუმჯობესება და ინგლისური ენის პედაგოგთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა საჯარო სკოლებში”.

შეირჩა 11 კვალიფიციური ტრენერი, რომელთაც გაირეს TOT.

ბათუმის 25 სკოლიდან შეირჩა 33 პედაგოგი. ყველა პედაგოგმა გაირა ბრიტანეთის საბჭოს სამი სახის სატრენინგო კურსი:

I - მასწავლებელთა ენობრივი კომპეტენციების გაუმჯობესება.

II - მოსწავლეთა კომუნიკაციური შეფასების წარმოების უნარ-ჩვევების განვითარება (online)

III - საგაკვეთილო პროცესის მართვის უნარ-ჩვევების განვითარება.

2015 წლის 28 ნოემბერს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა ბრიტანეთის საბჭოსა და აჭარის განათლების ფონდის ერთობლივი კონფერენცია „უწყვეტი პროფესიული განვითარება აჭარაში: მიღწევები და შედეგები“.



Save the Children in Georgia/ "გადავარჩინოთ ბავშვები"



- **2015 წლის 19 აგვისტო** - ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, ტრენინგ-მოდულის გადმოცემა, TOT.



- **2016 ოქტომბერი** - განახლებული, აკრედიტებული ტრენინგ-მოდულის გადმოცემა.



საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის აჭარის მთავარი სამმართველო



2015 წლის 9 სექტემბრიდან დღემდე ტრენინგების პერიოდში არის სრული მხარდაჭერა და პრაქტიკული ჩართულობა ბათუმის მასწავლებლის სახლის მიერ განხორციელებულ პროექტში: „ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება“.





ტრენინგები

2018 წ.

ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება (ინკლუზიური განათლების კონტექსტის გათვალისწინებით) 2018 წ.

21 სკოლა


430 მსმენელი

შენიშვნა:

2017 წელს პრობლემას წარმოადგენდა სოფლებში ტრენერთა ტრანსპორტირება რთული რელიეფის გამო.

2018 წელს ეს პრობლემა წარმატებით მოგვარდა აჭარის რესურსცენტრების დახმარებით!

ბუნებრივი კატასტროფები რისკის შემცირება (ინკლუზიური განათლების კონტექსტის გათვალისწინებით) 2018 წ.






სკოლის პერსონალის პროფესიული განვითარება

2018 წ.

● სკოლის ბიბლიოთეკარის პროფ. განვითარება

- ბიბლიოთეკარის ეფექტური მუშაობის მეთოდოდიკა მშობლებთან, მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან - 8 საკონტაქტო საათი
- საბიბლიოთეკო ღონისძიებების მოწყობა - 4 საკონტაქტო საათი




სკოლის საქმისმწარმოებლის პროფ. განვითარება

- ❖ მოსწავლის რეგისტრაცია და პირადი საქმის წარმოება - 4 საათი
- ❖ ელექტრონული კომუნიკაცია (eflow) და საჯარო ინფორმაციის გაცემის წესი - 4 საათი
- ❖ სკოლის საქმისწარმოება (კორესპონდენცია, ხელშეკრულებები, დაარქივება) – 8 საათი

საქმისწარმოება



ბიბლიოთეკარები



სკოლის პერსონალი: საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი 2018 წ.


58 ბიბლიოთეკარი

75 საქმისმწარმოებელი
60 დირექტორი

სულ - 194 მსმენელი

*შენიშვნა: 2018 წლიდან სკოლის საქმისმწარმოების ტრენინგები დაიგეგმა
სკოლის დირექტორებისათვის!*

სკოლის პერსონალის პროფესიული განვითარება - 2018 წ.





ინკლუზიური განათლება

2018 წ.

ორი მოქმედი ტრენინგ-მოდული

ინკლუზიური განათლების ტრენინგ-პროგრამა

მოდული:

„სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ინტეგრაცია
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში“ - 20 სთ.

- **ტრენინგის სამიზნე ჯგუფი:** საჯარო და კერძო სკოლის მოქმედი პედაგოგები, ფსიქოლოგები, სპეციალური მასწავლებლები, ინკლუზიური განათლების კოორდინატორები.
- **ტრენინგის საკითხები:** ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა პედაგოგიური შეფასება; ეროვნული სასწავლო გეგმა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმა; პრობლემური ქცევის მართვა; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა გაკვეთილზე ჩართვის გზები და სწავლების სტრატეგიები; ადაპტირებული გაკვეთილები.

ინკლუზიური განათლების ტრენინგ-პროგრამა

მოდული:

ინკლუზიური განათლება სკოლის ადმინისტრაციისა და რესურს ცენტრებისთვის - 12 სთ.

- **სამიზნე ჯგუფი:** სკოლის ადმინისტრაცია (დირექტორი, მოადგილე), რესურსცენტრების თანამშრომლები.
- **ტრენინგზე განსახილველი საკითხები:**

ადმინისტრაციის როლი ინკლუზიური განათლების წარმართვის პროცესში და ხედვა კონკრეტული სტრატეგიების განხორციელებასთან დაკავშირებით; ინკლუზიური განათლების ქართულ და საერთაშორისო მარეგულირებელ დოკუმენტები და საგანმანათლებლო სივრცეში სსსმ და შშმ პირთა უფლებების დაცვა; სკოლაში ინკლუზიური განათლების პროცესის მიმდინარეობის შეფასების მექანიზმები; ინკლუზიური განათლების პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის სკოლის, რესურს ცენტრის და შესაბამისი უწყებების თანამშრომლობის მექანიზმების მნიშვნელობა; სკოლის მართვის პროცესში გუნდური პრინციპით მუშაობის მნიშვნელობა და სხვა.

ინკლუზიური განათლების ტრენინგ-პროგრამა

მოდული:

მობილობა და სივრცეში ორიენტაცია უსინათლო და მცირემხედველი პირებისთვის - 60 სთ.

- **სამიზნე ჯგუფი:** საჯარო სკოლის პედაგოგი, სპეციალური პედაგოგი, ინკლუზიური განათლების კოორდინატორი; ფსიქოლოგი, მეტყველების თერაპევტი (ლოგოპედი), სკოლის ადმინისტრაცია, ნებისმიერი სხვა სპეციალისტი, რომლის პროფესიული საქმიანობა უკავშირდება სსსმ მოსწავლის სწავლებას
- **შენიშვნა:** პრიორიტეტია ის სპეციალისტები, რომლებიც მუშაობენ მხედველობის დარღვევის მქონე პირებთან
- **ტრენინგზე განსახილველი საკითხები:** მობილობა და სივრცეში ორიენტაცია: პრინციპები, უსაფრთხოების წესები, განმავითარებელი თამაშები. უსინათლოობის და მცირემხედველობის თავისებურებანი და მოსწავლის უნარების შეფასება განვითარების სფეროების მიხედვით, განვითარების სტადიები. ცნებების განვითარება უსინათლო და მცირემხედველ მოსწავლეებში და ა.შ.
- **შენიშვნა:** სამწუხაროდ არ ჩატარდა TOT
- **უკვე გვყავს სპეციალური სერტიფიკატის მქონე სპეციალისტები!**

ინკლუზიური განათლების ტრენინგების მონაწილენი - 2018 წ.

„სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ინტეგრაცია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში“ – 296 მსმენელი

ინკლუზიური განათლება სკოლის ადმინისტრაციისა და რესურს ცენტრებისთვის - 79 მსმენელი

ჯამში -375 მსმენელი

ინკლუზიური განათლების ტრენინგების მონაწილენი - 2018 წ.

140

120

100

80

60

40

20

0

ბათუმი, თელავი, ზაზაშვილი

ქობულეთი

ქედა

შუახევი

ხულო

■ სსსმ ინტეგრაცია

■ ადმინისტრაციის მოდული

120

30

25

25

15

16

25

17





მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა

სქემის დანერგვის ხელშეწყობის პროგრამა - ტრენინგები, კონსულტაციები

სქემის დანერგვის ხელშეწყობის ტრენინგ-პროგრამა

■ დირექტორები:

- სკოლის შიდა შეფასების პროცესის მონიტორინგის დაგეგმვა და განხორციელება - 5 სთ.

■ შეფასების ჯგუფის წევრები:

- მასწავლებლის პროფესიული საქალაქის შეფასება - 10 სთ.
- სამოძღვრო გაკვეთილების დაგეგმვა და შეფასება - 5 სთ.
- პედაგოგიური კვლევის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება - 5 სთ.
- საგაკვეთილო დაკვირვება - 10 სთ.
- კონსულტირება შიდა შეფასების ინსტრუმენტების გაცნობასთან დაკავშირებით - 3 სთ.

სქემის დანერგვის ხელშეწყობის პროგრამა - 2018 წ. იანვარი-თებერვალი

ტრენინგ-მოდული: „საგაკვეთილო დაკვირვება“

ბათუმი, ხელვაჩაური - 525 მსმენელი


ქობულეთი - 75 მსმენელი

ქედა - 100 მსმენელი

შუახევი - 150 მსმენელი

ჯამში - 850 მსმენელი

მასწავლებლის კომპეტენციის დადასტურების
საგამოცდო
ტრენინგები



2018 წელი

ტრენინგები შემდეგ მიმართულებებში:

- ზოგადი კურსი პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის ისტორიაში - 37 მსმ.
- ზოგადი კურსი პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის ქართული ენაში (VII-XII კლ.) – 37 მსმ.
- ზოგადი კურსი პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის მათემატიკაში (I-VI კლ.) – 44 მსმ.
- ზოგადი კურსი პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის მათემატიკაში (VII-XII კლ.) – 31 მსმ.
- ზოგადი კურსი პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის სპორტში - 36 მსმ.
- ზოგადი კურსი პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის სამოქალაქო განათლებაში - 24 მსმ.
- ზოგადი კურსი პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის ფიზიკაში - 19 მსმ.
- ზოგადი კურსი პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის ბიოლოგიაში - 18 მსმ.

- განათლების დაწყებითი საფეხურის (1-4 კლ.) ინტეგრირებული ტრენინგი - 7 ჯგუფი, 175 მსმ.

- ზოგადი კურსი პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის დაწყებითი საფეხურის ქართულ ენასა და ლიტერატურაში (I-VI)- 44 მსმ.
- ზოგადი კურსი პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის ინგლისურ ენაში - 53 მსმ.
- ზოგადი კურსი პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის მუსიკაში - 15 მსმ.
- ზოგადი კურსი პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის სახვით ხელოვნებაში - 24 მსმ.
- ზოგადი კურსი პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის ბუნებისმეტყველებაში - 21 მსმ.
- ზოგადი კურსი პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის გეოგრაფიაში - 32 მსმ.
- ზოგადი კურსი პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის ქიმიაში - 22 მსმ.

- პროფესიული უნარები - 14 ჯგუფი, 361 მსმ.

მაისი-ივნისი-ივლისი, 2018 წ.
მასწავლებლის კომპეტენციის დადასტურების გამოცდებისათვის
ჩატარდა

17 მიმართულება

44 ტრენინგი

993 მსმენელი



სხვა აქტივობები

მასტერ-კლასები, სემინარები, ვორქშოფები,
პრეზენტაციები, კონკურსები, თანამშრომლობა

სემინარები ფიზიკისა და მათემატიკის
მასწავლებლებისათვის
2018 წლის 12-13 მაისი

ბათუმის მასწავლებლის სახლში
ჩატარდა ბერნის ლერბერმატის
გიმნაზიის (Gymnasium
Lerbermatt, Bern) პედაგოგის
ირმა მგელაძის
სემინარები ფიზიკისა და
მათემატიკის
მასწავლებლისათვის.




ირმა მგელაძე - შვეიცარიის ფიზიკის კომისიის (DPK) წევრი (T^A3 (Teacher Teaching with Technology) Schweiz, Leader of Science Group).

მის მიერ მომზადდა და გამოიცა ფიზიკის სახელმძღვანელო, რომლითაც შვეიცარიის სკოლებში ასწავლიან.

ორთავე სემინარი შედგებოდა ორ-ორი სესიისაგან:


- I სესია - პრეზენტაცია/ექსპერიმენტების დემონსტრირება;
- II სესია - პრაქტიკული დავალებების შესრულება IT ტექნოლოგიების გამოყენებით.
- სემინარების მიზნობრივი ჯგუფები იყო ფიზიკისა და მათემატიკის მოქმედი მასწავლებლები.
- მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრა 25 მსმენელით.
- ხანგრძლივობა - 4 საათი.



მასტერ კლასები ინგლისური ენის მასწავლებლებისათვის

- **2018 წლის 1-2 დეკემბერი** ჩატარდა ამერიკელი ექსპერტის რობ დენინის მასტერ კლასი აჭარის სკოლების ინგლისური ენის მასწავლებლებისათვის: „მოსმენა/ზეპირმეტყველების სწავლება და სახელმძღვანელოს ადაპტაცია სწავლების დაწყებით საფეხურზე“.
- **მასტერკლასზე განხილული იყო საკითხები:**
- მოსმენის და საუბრის უნარების მნიშვნელობა იმ მოსწავლეებისთვის, რომლებისთვისაც ინგლისური უცხო ენაა. (მოსმენის და საუბრის უნარების მნიშვნელობა მოსწავლეებისთვის). მოსმენა და საუბარი - კავშირი 4 უნართან;
- ინსტრუქციების მიცემის სტრატეგიები მოსმენის და საუბრის სწავლების პროცესში; მოსმენის და საუბრის მეთოდების მიმოხილვა და საკლასო აქტივობები; თავისუფალი მეტყველება და სიზუსტე;
- სახელმძღვანელოების ადაპტაციის მნიშვნელობა; სახელმძღვანელოების ადაპტაციის სტრატეგიები.
- მონაწილეებს სერტიფიკატები გადაეცათ.





თანამშრომლობა ეროვნული ცენტრის
ექსპერტებთან


მასტერ კლასები



➡ ექსპერტების მასტერ - კლასები

● აპრილი - 2018 წ.

- ➡ მასტერ კლასი ხელოვნებაში - ექსპ. ირინე ჯორჯაძე, 50 მსმ.
- ➡ მასტერ კლასი ბიოლოგიაში - ექსპ. მაია ზიბზიბაძე, 50 მსმ.
- ➡ მასტერ კლასი რუსულ ენაში - ექსპ. ნინო ფეტვიაშვილი, 50 მსმ.
- ➡ მასტერ კლასი ისტორიაში - ექსპ. ლევან ახვლედიანი, 50 მსმ.
- ➡ მასტერ კლასი სამოქალაქო განათლებაში - ექსპ. ნინო გვარამაძე, 50 მსმ.



● მაისი - 2018 წ.

- ➡ მასტერ კლასი ბუნებისმეტყველებაში - ექსპ. რუსუდან თედორაძე, 50 მსმ.
- ➡ მასტერ კლასი ისტორიაში - ექსპ. ლევან ახვლედიანი, 50 მსმ.
- ➡ მასტერ კლასი გერმანულ ენაში - ექსპ. ხათუნა მჭედლოშვილი, 20 მსმ.
- ➡ მასტერ კლასი ექსპერიმენტულ ფიზიკაში - ექსპ. ნუგზარ მოსულოშვილი, 50 მსმ.
- ➡ მასტერ კლასი სპორტში - ექსპ. ქ. ქობალია, 50 მსმ.
- ➡ მასტერ კლასი მუსიკაში - ექსპ. რუსუდან თაყაიშვილი, 50 მსმ.
- ➡ მასტერ კლასი ქართულ ენასა და ლიტერატურაში - ექსპ. მაია ინასარიძე, 50 მსმ.

● ოქტომბერი - 2018 წ.

- ➡ მასტერ კლასი ეროვნული უმცირესობების ენების (რუსული ენა) პედაგოგებისათვის, ექსპ. ნინო ფეტვიაშვილი, 20 მსმ.





სამუშაო შეხვედრები - ვორქშოფები

- სამუშაო შეხვედრების ჩატარების საკითხი ძალიან გაააქტიურა 2017 წელს სქემაში შეტანილმა ცვლილებებმა
- სამუშაო შეხვედრების/ვორქშოფები შესაძლებლობას აძლევს დაინტერესებულ პირებს განავითარონ თავიანთი პროფესიული და საგნობრივი უნარები, დაგეგმონ და ჩაატარონ სამოდელო გაკვეთილი..
- პრაქტიკოსი მასწავლებლის მიერ განსახორციელებელი დამატებითი აქტივობების/საქმიანობების ჩამონათვალს, რომელიც მას კრედიტულების დაგროვებაში დაეხმარება დაემატა კოლეგებთან სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა.

კოლეგებთან სამ სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობისათვის მასწავლებელს ენიჭება 0,5 კრედიტი.

● თებერვალი - 2018 წ.

3 ვორქშოფი ჩატარდა ბათუმის მასწავლებლის სახლში:

- მუსიკა, ტრენერი - ლალი კონცელიძე;
- ინგლისური ენა, ტრენერი - ნინო ალანია;
- დაწყებითი განათლება, ტრენერი - ნინო ვაშალომიძე.

3 ვორქშოფი ჩატარდა აჭარის მუნიციპალიტეტებში:

- რუსული ენა, ტრენერი - ლალი მსხილაძე (ქედა);
- ისტორია, ტრენერი - კახა ჩაკვეტაძე (ქობულეთი);
- დაწყებითი განათლება, ტრენერი - დალი თურმანიძე



● მარტი - 2018 წ.

5 ვორქშოფი ჩატარდა ბათუმის მასწავლებლის სახლში:

- რუსული ენა, ტრენერი - ლალი მსხილაძე (ქედა);
- ისტორია, ტრენერი - კახა ჩაკვეტაძე (ქობულეთი);
- ბუნებისმეტყველება, ტრენერი - თამილა თალაკვაძე;
- ხელოვნება, ტრენერი - ხათუნა ლომაძე;
- მათემატიკა, ტრენერი - ეკა თურმანიძე.

3 ვორქშოფი ჩატარდა აჭარის მუნიციპალიტეტებში:

- დაწყებითი განათლება, ტრენერი - ნინო ვაშალომიძე (შუახევი);
- ფიზიკა, ტრენერი - ნატო ზამთარაძე (ქობულეთი);
- ისტორია, ტრენერი - პირიმზე რურუა (ქობულეთი).

● ოქტომბერი - 2018 წ.

3 ვორქშოფი ჩატარდა ბათუმის მასწავლებლის სახლში:

- ისტორია, ტრენერი - პირიმზე რურუა (ქობულეთი)
- ქართული ენა და ლიტერატურა, ტრენერი - ელისო ვადაქარია
- ქართული ენა და ლიტერატურა, ტრენერი - დავით ჩხაიძე

4 ვორქშოფი ჩატარდა აჭარის მუნიციპალიტეტებში:

- ხელოვნება, ტრენერი - ხათუნა ლომაძე; (ქედა)
- დაწყებითი განათლება, ტრენერი - ნ. მაღაზონია (ქედა);
- დაწყებითი განათლება, ტრენერი - ლ. წულუკიძე (ქედა)
- ინლისური ენა, ტრენერი - ნინო ალანია (ქობულეთი)

● ნოემბერი - 2018 წ.

1 ვორქშოფი ჩატარდა ბათუმის მასწავლებლის სახლში:

- ქართული ენა და ლიტერატურა, ტრენერი - ია კუპრაძე

3 ვორქშოფი ჩატარდა აჭარის მუნიციპალიტეტებში:

- დაწყებითი განათლება, ტრენერი - ნინო მაღაზონია (ხულო);
- დაწყებითი განათლება, ტრენერი - ლეილა წულუკიძე (ხულო);
- ხელოვნება, ტრენერი - ხათუნა ლომაძე



სხვა აქტივობები მარტი-ივნისი, 2018 წ.

26 მასტერ-კლასი - 520 მსმენელი

2 სემინარი - 50 მსმენელი

25 ვორქშოპი - 500 მსმენელი

სულ სხვა აქტივობებში - 1 070 მსმენელი

*აჭარის რესურს ცენტრებთან
თანამშრომლობა*

მუნიციპალური კონფერენციების ხელშეწყობა

- **2018 წლის 28 აპრილი** - დაბა ხიჭაურის საჯარო სკოლაში ჩატარდა შუახევის მასწავლებელთა მეორე მუნიციპალური კონფერენცია. კონფერენციის პროგრამა ითვალისწინებდა პლენარულ და სექციურ მოხსენებებს 6 სექციურ ჯგუფში. სექციურ ჯგუფებში სულ წარმოდგენილი იყო 46 მოხსენება.
- **2018 წლის 10 ივნისი** - ქედის რესურსცენტრის ორგანიზებით დაბა ქედის საჯარო სკოლაში გაიმართა მეორე მუნიციპალური კონფერენცია თემაზე - „წარმატებული პედაგოგიური პრაქტიკა და ინოვაციური მიდგომების გამოყენება სწავლის პროცესში“. ოთხსექციურ ჯგუფში - ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო, უცხოური ენები წარმოდგენილი იყო 32 მოხსენება.
- **2018 წლის 22 ნოემბერი** - ხელვაჩაურის მასწავლებელთა მეოთხე მუნიციპალური კონფერენცია “ინოვაციები სასწავლო პრაქტიკაში“. კონფერენციაში მონაწილეობისათვის პირველ ეტაპზე წარმოდგენილი იქნა 32 ნაშრომი, მათგან 15 პედაგოგის ნაშრომი შერჩეული იქნა მეორე ეტაპზე პრეზენტაციისთვის.
- **ყველა მუნიციპალურ კონფერენციას მოწვეული ექსპერტის სტატუსით ესწრებოდნენ და წარმოდგენილი მოხსენებების შეფასებაში მონაწილეობდნენ ბათუმის მასწავლებლის სახლის ტრენერები.**





უცხოეთთან თანამშრომლობა

ვიზიტები,
სტაჟირება

- **2016 წლის 5 აგვისტო** - იორდანიის ვიცე-პრემიერის, განათლების მინისტრის ვიზიტი
- **2016 წლის 17-20 ნოემბერი** - ა (ა)იკ აჭარის განათლების ფონდის ადმინისტრაციის ვიზიტი პოლონეთში ქ. ვარშავაში, კოპერნიკის საბუნებისმეტყველო სამეცნიერო ცენტრის მიერ ორგანიზებულ "ახალგაზრდა მკვლევართა კლუბების მე-5 საერთაშორისო ფორუმში" მონაწილეობის მიღების მიზნით.
- **2017 წლის 6 აპრილი** - ავღანეთის განათლების სამინისტროს დელეგაციის ვიზიტი
- **2017 წლის 3 ოქტომბერი** - ბათუმის მასწავლებლის სახლს ეწვიენ პოლონეთის ქ. ვარშავის კოპერნიკის სამეცნიერო ცენტრის (CNK - Centrum Nauki Kopernik) განათლების მიმართულების დირექტორი - ანა ძიამა და სამეცნიერო ცენტრის განათლების განყოფილების ხელმძღვანელი - იაკუბ ბოჩინსკი.
- პოლონელმა სტუმრებმა წარმოადგინეს პროზენტაცია კოპერნიკის სამეცნიერო ცენტრის საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების შესახებ. შეხვედრის დროს განიხილეს აჭარის საჯარო სკოლების საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებელთა CNK-ში ერთკვირიანი სტაჟირების დეტალები და დასახეს სამომავლო თანამშრომლობის გეგმა - კოპერნიკის სამეცნიერო ცენტრში აჭარის პედაგოგთა ყოველწლიური ვიზიტის ორგანიზება.
- **2018 წლის 31 მაისი** - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებლებთან ქ. ვარშავაში CNK-ში ერთკვირიანი სტაჟირების კონკურსი (Centrum Nauki Kopernik)



სტაჟირება ლონდონის ზამთრის სკოლაში - 2016 წ.

- ბრიტანეთის საბჭოს ერთობლივი პროექტი - *“სასწავლო მეთოდოლოგიების გაუმჯობესება და ინგლისური ენის პედაგოგთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა საჯარო სკოლებში”*.
- 2016 წლის იანვარში ენის პროფესიული ფლობის თავიანთი უნარ-ჩვევების შემდგომი დახვეწის და ენის სწავლების მაღალკვალიფიცირებული ცოდნის მიღების მიზნით, აჭარის საჯარო სკოლების ინგლისური ენის სამი პედაგოგი: მაია ფალავა, ფატიმა ნიჟარაძე და იზოლდა ცინცაძე სრული დაფინანსებით გაემგზავრა დიდ ბრიტანეთში, ლონდონში „**EXCEL ENGLISH**“ ზამთრის სკოლაში.



CERN-ში სტაჟირება, შვეიცარია

- 2016 წ. 11-17 სექტემბერი (4 მონაწილე)
- 2017 წ. 12-18 ნოემბერი (4 მონაწილე)
- 2018 წ. 8-14 აპრილი (4 მონაწილე)



სტაჟირება Copernicus Science Centre-ში, პოლონეთი

- ვარშავის კოპერნიკის სამეცნიერო ცენტრი საბუნებისმეტყველო მიმართულების მასწავლებელთა გადამზადებისა და მეცნიერების პოპულარიზაციის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ცენტრია ევროპაში, რომელიც ყოველდღიურად 3000-ზე მეტ დამთვალიერებელს იღებს.
- კონკურსის შედეგად შერჩეულ მასწავლებლებს საშუალება აქვთ ერთი კვირის განმავლობაში დაათვალიერონ კოპერნიკის სამეცნიერო ცენტრის (Copernicus Science Centre) სხვადასხვა სამეცნიეროკვლევითი ლაბორატორიები, ადგილზე ჩაატარონ სასკოლო ექსპერიმენტები.
- მათ ასევე შეუძლიათ მოისმინონ საინტერესო მასტერ-კლასები საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ.

კოპერნიკის სამეცნიერო ცენტრი, პოლონური ფონდი: „სკოლა კლასთან“

- **2018 წლის 16-21 სექტემბერს** პოლონეთში განხორციელდა აჭარის საბუნებისმეტყველო საგანთა მასწავლებლების სასწავლო ვიზიტი ვარშავის კოპერნიკის სამეცნიერო ცენტრსა (Copernicus Science Centre) და ფონდში - "სკოლა კლასთან" (School with Class Foundation).
- **სასწავლო ვიზიტის პროგრამა მოიცავდა შემდეგ აქტივობებს:**
- **17 სექტემბერი:** ვორკშოპი - „ახალგაზრდა მკვლევართა კლუბების მართვა“; ვორკშოპი - „მარტივი საექსპერიმენტო მეთოდები“;
- **18 სექტემბერი:** კოპერნიკის სამეცნიერო ცენტრის VIP მონახულება; კოპერნიკის სამეცნიერო ცენტრის ექსპონატების მონახულება; კოპერნიკის სამეცნიერო ცენტრის ინდივიდუალური მონახულება; პლანეტარიუმში ვიზიტი, 3-D ჩვენება;
- **19 სექტემბერი:** სასწავლო ვიზიტი ვარშავის სკოლაში (Elbląska 51); ქიმიის გაკვეთილი ახალი მეთოდების გამოყენებით; გეოგრაფიის გაკვეთილი პოლონელ პედაგოგთან ერთად; სასწავლო ვიზიტი სამოქალაქო განათლების ცენტრში;
- **20 სექტემბერი:** ფონდის „სკოლა კლასთან“ პროგრამების პრეზენტაცია; ვორკშოპი - მეთოდი „აღფა“, „DT“; ვორკშოპი მეთოდი - „Kret“; პოლონეთში საქართველოს საელჩოს წარმომადგენელთან ერთად ვიზიტის შეჯამება და სერთიფიკატების გადაცემა.



იანვარი - დეკემბერი 2018 წ.



აჭარის განათლების ფონდის,
ბათუმის მასწავლებლის სახლის მიერ
ორგანიზებული სხვადასხვა აქტივობებში
მონაწილეობა 3 927 მსმენელმა მიიღო.

გადამზადებულ მსმენელთა სტატისტიკა წლების მიხედვით



2013 წლის ნოემბერი-2014 წლის აპრილი - 1427 მსმენელი

2014 წ. – აპრილი-დეკემბერი - 2292 მსმენელი

2015 წ. – 2470 მსმენელი

2016 წ. – 4000 მსმენელი

2017 წ. – 5 536 მსმენელი


2018 წ. – 3 927 მსმენელი

ახალი 2019 წელი



ჩვენი გეგმები

1. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაგრძელება!




➤ ახალი ტრენინგების გადმოცემა

➤ ძველი მოდულების განხორციელება

- *სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთა ინტეგრაცია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში*
- *ინკლუზიური განათლება სკოლის ადმინისტრაციისა და რესურს ცენტრებისთვის*
- *„ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება ინკლუზიური განათლების პრინციპების დაცვით*
- *მასწავლებლის კომპეტენციის დადასტურების საგამოცდო ტრენინგები მასწავლებლებისათვის*
- *სკოლის პერსონალის პროფესიული განვითარების პროგრამა*



2. სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების პროფესიული განვითარების პროგრამების აღიარება



- მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს აქვს დეცენტრალიზაციის პროგრამა, დეცენტრალიზაციის მიზნით ახორციელებს სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების რეგისტრაციას.
- რეგისტრაციის გავლა შეუძლიათ:
- დაინტერესებულ სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ცენტრის საგრანტო კონკურსებში;
- ორგანიზაციებს, რომლებსაც სჭირდებათ პროფესიული განვითარების პროგრამების აღიარება.
- ჩვენ ორი წლის წინ გავიარეთ რეგისტრაცია და ველოდებით პროფესიული განვითარების პროგრამების აღიარების დებულებას!
- დებულება მზად არის! საქართველოს განათლების სამინისტროში შესათანხმებელია პროცედურული საკითხები და ის 2019 წლის მარტისთვის ამოქმედდება.



სხვა აქტივობები 2019 წელი



- ექსპერტების მასტერ - კლასები
- სამუშაო შეხვედრები/ვორქშოფები
- პედაგოგთა სტაჟირება უცხოეთში (შვეიცარია, პოლონეთი)
- თანამშრომლობა აჭარის რესურს ცენტრებთან
- კონფერენციების ორგანიზება/მონაწილეობა

დიდი მადლობა!

დირექტორს - ტარიელ ებრალიძეს



იურისტს - მინდია ნაკაშიძეს



ბუღალტერს - თენგიზ თორღვაიძეს



ჩვენი გუნდი!

თინათინ ციციშვილი




ნათია ბეალავა


ჩვენი გუნდი!

ირმა მახარაძე

გიული მიქელაძე



ხატია ბერიძე



გმადლობთ
ყურადღებისათვის!

